№ 217 მთავრობის ორგანო ყოველდღიური გაზეთი წელიწადი მეორე

საქართველოს რესპუბლიკა

ფასი 1 მანეთი. შაბათი 27 სექტემბერი 1919 წ.

მთავრობის ორგანო, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)
„საქართველოს რესპუბლიკა“
მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის. ხელის მოწერის ფასი ერთი წლით 220 მ., ნახევარი წლ. 110 მ., 1 თვით 20 მ., ცალკე № ყველგან 1 მან. სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით. კერძო განცხადებანი შეთანხმებით. გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის 9 ს. ნაშუადღ. 2 ს. ბარონის ქ. № 6, ტელეფონი 1—82

ეროვნული ბიბლიოთეკა

აფთიაქის საქონლით მოვაჭრე კავკასიის საზოგადოების გამგეობა ტფილისში

იწვევს პაიების პატრონებს საგანგებო საზოგადო კრებაზე, რომელიც შესდგება კვირას, ოქტ. 26-ს დილის 11 საათზე, ქ. ტფილისში, კანტორის ბინაზე, ევანგულოვის ქ., № 12, შემდეგი საკითხების განსახილველათ:

1. ძირითადი თანხის გადიდება ამხანაგობის მიერ ახალი მეხუთე გამოკემის პაების საშვალებით.
2. ამხანაგობის წესდების ზოგი პარაგრაფის შეცვლა.
3. მიმდინარე საკითხები.

თუ აღნიშნულ დღეს არ შესდგა საზოგადო კრება წესდების მე 53 პარაგრაფში აღნიშნულ მიზეზებისა გამო, მეორე საზოგადო კრება დანიშნულია კვირას, 1919 წ. ნოემბრის 9 ს, დილის 11 საათ. იმავე ბინაზე, იმავე საკითხების განსახილველად. ეს კრება კანონიერათ ჩაითვლება, მიუხედავად იმ პაიების რიცხვისა, რომელსაც წარმოადგენენ დამსწრე წევრები.

1437 1—1

ოფიციალური განყოფილება.

განკარგულებანი

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარისა.

24 სექტემბერი, 1919 წ. № 5.

I. განთავისუფლებულნი არიან დამფუძნებელი კრების კანცელარიის სამსახურისა და სათანადო თანამდებობისაგან შემდეგი მოსამსახურენი:

1. დამფუძნებელი კრების სხდომების სტენოგრაფიულ ოქმის შემადგენელი: ნადეჟდა თარხან-მოურავის ასული, ვერა თარხან მოურავის ასული, ნინო გელოვანისა, ნინო თარხან-მოურავის ასული, ნინო ერისთავის ასული და ეკატერინე ჩერქეზიშვილის ასული ამა სექტემბრის 20-დან.

2. საქმის მწარმოებელი ელისაბედ ქავთარაძისა, მისი თხოვნის თანახმად, ამა სექტემბრის 25-დან.

II. ქვემოთ ჩამოთვლილნი პირნი მიღებულ არიან დამფუძნებელი კრების კანცელარიის სამსახურში და დაინიშნენ:

1. შალვა აფხაიძე, დიმიტრი ბარნაბიშვილი, ალექსი უსტიაშვილი, ტერენტი ტყემალაძე, გრიგოლ მარინეშვილი, მარიამ ციციშვილის ასული, აკაკი სიგუა, ანდრია საყვარელიძე, ალექსანდრე ცირეკიძე, კონსტანტინე ვეფხვაძე, ლიდია პაპასკირის ასული, ანნა ჟღენტის ასული, მამია ხუხუნაიშვილი და გიორგი კიკნაძე დამფუძნებელი კრების სხდომების ოქმის შემდგენელის თანამდებობაზედ ამა სექტემბრის 15-დან.

2. ვერა სალარაძის ასული დამფუძნებელი კრების კანცელარიის საქმის მწარმოებელის თანამდებობაზედ ამა სექტემბრის 25 დან.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის
უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**
კანცელარიის გამგე **ილ. ზურაბიშვილი.**

15 სექტემბერი, 1919 წ., № 22.

დაინიშნოს მთავრობის ცენტრალურ დაწესებულებათა შენობის გამგეთ ფილიპე ბუჩუას ძე მგელაძე და დაევალოს თანამდებობის ასრულება დღიდან ამ ბრძანების გაცემისა.

მთავრობის თავმჯდომარე
ჟორდანია.
მთავრობის საქმეთა მმართველი
ქ. ჯაფარიძე.

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროსი.

13 სექტემბერი, 1919 წ. № 204.

განთავისუფლებულია სამსახურიდან ათი დღის ვადით საკრედიტო განყოფილების საქმის მწარმოებელი ვერა ივანეს ასული ცეხანოვსკისა ამა წლის 11 სექტემბრიდან.

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის ამხანაგი ს. **ავალიანი.**

№ 208

გაიგზავნოს სოხუმის სახელმწიფო ბანკის განყოფილებაში და საკრედიტო დაწესებულებათა სარევიზიოთ ივანე მათეს ძე თურქია ამა წლის 21 სექტემბრიდან.

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის
მინისტრის ამხ. ს. **ავალიანი.**

20 სექტემბერი, 1919 წ., № 206..

დათხოვნილია თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან, თანახმად თხოვნისა, სახელმწიფო ქაღალდების დამმზადებელ ექსპედიციის გამგის თანაშემწე იაკობ სამუელის ძე დვორაკოვსკი ამა წლის 20 ენკენისთვიდან.

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის
მინისტრი ქ. **კანდელაკი.**

№ 207.

დათხოვნილია სრულიად ამსახურიდან ტფილისის მეათე უბნის გადასახადთა ინსპექტორის თანაშემწე ვლადიმერ პავლეს ძე სხირტლაძე ამა წლის 1 აგვისტოდან.

არა ოფიციალური განყოფილება

შინაგან საქ. სამინისტროში

ლტოლვილების მოქმედება

შინაგან საქმეთა სამინისტროს აუწყებენ, რომ ამ დღეებში მე 300 ვერსზე აჯანყდენ იქ მყოფი სომეხი ლტოლვილები. მათ სცემეს ყარაულებს, რომლებიც სომხეთის ადმინისტრაციის მიერ არიან დაყენებული, ქვები დაუშინეს გამგის ოთახს და მინები ჩაამსხვრიეს. აჯანყებულნი მოითხოვდენ ეხლანდელ იქ მყოფ ადმინისტრაციის გადაყენებას და სურსათის მომატებას. გამოირკვა, რომ ლტოლვილებს იარალი ჰქონიათ. ამის შესახებ შედგენილია შესაფერი ოქმი.

შუამდგომლობა აფხაზეთის დაზარალებულ სოფლების დასაკმაყოფილებლათ.

შინაგან საქმეთა მინისტრმა შემდეგი მოხსენება წარუდგინა მთავრობას:

„წარსულ 1918 წლის აგვისტოში, როდესაც საქართველოს ჯარი სდევნიდა აფხაზეთის ტერიტორიიდან ოსმალთა დესანტს, სამხედრო ოპერაციის დროს განადგურებულ იქნა სოხუმის ოლქის ს. ჯმერტის, ჰიულის, კვიტოულის და გუპის მცხოვრებთა სახლ-კარი, გატაცებულ იქნა მათი უძრავი და მოძრავი ქონება, მათი სარჩო-საბადებელი, რომლის წყალობით მთელი ამ რაიონის მცხოვრებნი აუტანელ და უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნენ.

აუწყებენ რა თავიანთ აუტანელ მდგომარეობას, ზემოხსენებულ სოფლების მცხოვრებნი მიმართავენ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას თხოვნით, რათა გაუწიონ დაზარალებულთ დახმარების ხელი და მით სიკვდილს და სრულ განადგურებას გადაარჩინოს დასახელებული 4 სოფლის საზოგადოება.

აფხაზეთის კომისარიატი, ითვალისწინებს რა მათ უნუგეშო მდგომარეობას, თავის მხრით შუამდგომლობს მთავრობის წინაშე, რათა მათ აღმოეჩინოთ დახმარება, რომ კვლავ შესძლონ; კვლავ დაუბრუნდენ თავიანთ კარმიდამოს და განაახლონ გაჩანაგებული და მიწასთან გასწორებული სახლ-კარი.

ზარალის გამოსარკვევათ არჩეული კომისია, რომელშიაც შედიან სოხუმის საგანგებო კომისარი, საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენელი და აფხაზეთის ეროვნულ საბჭოს წევრი, თავის მოხსენებაში იუსტიციის მინისტრისადმი აღნიშნავს, რომ ხსენებულ სოფლების მცხოვრებთა მოთხოვნილება სრულიათ კანონიერია და სამართლიანობის პრინციპი მოითხოვს აუცილებლათ დაკმაყოფილებულ იქნან დაზარალებულნი და რომ სრულებით არ განადგურდეს მათი საბინადრო ადგილი, საჭიროა მთავრობისგან დროზე იქნეს დახმარება აღმოჩენილი.

დაზარალებულთა მოთხოვნილებაში აღნიშნულ ციფრებში კომისია არკვევს, თუ რომელი უფრო სამართლიანია და რომელი სადავო და ბოლოს მოყავს მთლიანი ჯამი, რომლის დაკმაყოფილება აუცილებელია და რომელიც უდრის 402,904 მან.

მოგახსენებთ რა ამას ვშუამდგომლობ მთავრობის წინაშე, აუნაზღაუროთ რესპუბლიკის ჯარის მიერ მიყენებული ზარალი ზემოხსენებულ სოფლის მცხოვრებთ“.

სომხების მიერ საქართველოს საზღვრების გადმოლახვა.

ნეიტრალურ ზონის კომისარი ლორთქიფანიძე შინაგან საქმეთა სამინისტროს შემდეგს აუწყებს: „დღეს ჩემთან იყვნენ ს. კორინჯის მცხოვრებთა წარმომადგენელნი. ს. კორინჯი ნეიტრალურ ზონაში მდებარეობს, სომხეთის საზღვრიდან 2 ვერსზე. წარმომადგენლებმა შემდეგი განმიცხადეს: 17 ამ თვეს სომხეთიდან გადმოსულან ს. დისიხის მცხოვრებნი და კორინჯელებისათვის წაურთმევიათ საქონელი, ფული და სხ. მთხოვენ დახმარების აღმოჩენას. გაცნობებთ რა ამას, გთხოვთ საჩქაროთ მიიღოთ ზომები, რომ სომხეთის ქვეშევრდომებმა შემდეგში აღარ გაბედონ ნეიტრალურ ზონის მცხოვრებთა შეწუხება.

კობახჩოელების შემოჭრა ლაგოდეხში.

ლაგოდეხის საერობო თემის თავმჯდომარე შინაგან საქმეთა სამინისტროს დეპეშით შემდეგს ატყობინებს:

„24 სექტემბერს კობახჩოელებმა (ზაქათალის სოფელმა) თვითნებობით გადმოლახეს საქართველოს რესპუბლიკის საზღვრები, გაჩეხეს ტყე და გაატარეს სახელმწიფო საზღვარი მიწამის № 3 სადარაჯოს მიდამოებში დაახლოვებით 5 ვერსის მანძილზე სივრცით 3 საჟენი. მიჯნის გატარების შემდეგ უკან გაბრუნდენ. ადგილობრივი მცხოვრებნი აღელვებული არიან. გამოწვეული არიან მათი წარმომადგენლები ამ საქმის მოსაგვარებლათ. შემდეგს გაცნობებთ“.

მიწათ-მოქმ. სამინისტროში

სტატისტიკური ბიბლიოთეკა.

სტატისტიკურ სამუშაოთა შესასრულებლათ ყოფილ კავკასიის სამეფისნაცვლოში დაარსებულ იქნა „კავკასიის საგანგებო სტატისტიკური კომიტეტი“, რომელიც 1888 წ. 19 დეკემბერს გადაკეთებულ იქნა „ამიერ-კავკასიის სტატისტიკურ კომიტეტათ“ და დაექვემდებარა შინაგან საქმეთა სამინისტროს, ხოლო ხსენებულ კომიტეტის პირადი შემადგენლობის და სამგზავრო ხარჯები სულ 21.000 მან. შინაგან საქმეთა უწყების ხარჯთ-აღრიცხვაში იქნა ჩართული, ხოლო სტატისტიკურ ნაშრომების გამოსაცემათ გაწეული ხარჯები საგუბერნიო-საერობო გადასახადებისგან უნდა დაფარულიყო.

კომიტეტთან დაარსებული იყო ბიბლიოთეკა, რომელიც ამ ჟამათ არის „ამიერ-კავკასიის გეოგრაფიულ საზოგადოების“ ბიბლიოთეკასთან ერთად (მოსკოვის ქ., № 3) და მხოლოდ ერთი დარაჯის ანაბარათაა მიგდებული.

მას შემდეგ, რაც დაარსდა საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალური სტატისტიკური კომიტეტი, კანონისამებრ ამ უკანასკნელის განკარგულებაში უნდა გადავიდეს „ამიერ-კავკასიის სტატისტიკურ კომიტეტის“ ყველა საქმეები და ქონება და მოწოდებულია განაგრძოს „ამიერ კავკასიის სტატისტიკურ კომიტეტის“ მუშაობა.

ეს გარემოება მიიღო მხედველობაში საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალურმა კომიტეტმა და ცენტრალურ სტატისტიკურ საბჭოს წინაშე აღძრა საკითხი ყოფილ „ამიერ-კავკასიის სტატისტიკურ კომიტეტის“ ბიბლიოთეკის მის გამგებლობაში გადმოცემის შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალურ სტატისტიკურ საბჭოს სხდომაზე 18 სექტემბერს განხილულ იქნა ეს საკითხი და ერთხმათ დაადგინეს: დაევალოს ცენტრალურ სტატისტიკურ კომიტეტს შუამდგომლობა აღძრას მთავრობის წინაშე, რომ ხსენებული ბიბლიოთეკა მას გადასცეს. ცენტრალური სტატისტიკური კომიტეტი შეეკითხა შინაგან საქმეთა სამინისტროს, თუ ბიბლიოთეკის მისთვის გადაცემას არაფერი უშლის, როდის შეუძლიან კომიტეტს თავის გამგებლობაში მიიღოს ხსენებული ბიბლიოთეკა.

როგორც გამოირკვა შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრით საქმე არ ბრკოლდება და მოკლე ხანში ბიბლიოთეკა ცენტრალურ სტატისტიკურ კომიტეტს გადაეცემა.

ფინანსთა სამინისტროში.

შუამდგომლობა გადასახადებისაგან განთავისუფლების შესახებ.

ქვაბლიანის რაიონის მაჰმადიან და ქრისტიან ქართველთა დელეგაციამ შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე, რომ ქვაბლიანში მოისპოს წარსული წლის გადასახადების აკრება, რადგანაც ოსმალეთის ჯარის იქ ყოფნის დროს ხალილ ბეის განკარგულებით აკრიბეს გადასახადები ოსმალეთის სასარგებლოთ.

ეს შუამდგომლობა გადაეცა შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომელმაც ფინანსთა სამინისტროს მიმართა, შეეჩერებინა ქვაბლიანის რაიონში წარსული წლის გადასახადების აკრება.

ფინანსთა სამინისტრომ თავის პასუხში აღინიშნა, რომ მას საწინააღმდეგო არაფერი აქვს, რომ ახალციხის და ახალქალაქის მაზრებში გადასახადების აკრება 1 ნოემბრამდე გადაიდოს, ხოლო რაც შეეხება იმას, თუ ხსენებულ მაზრების რომელ სოფელს რა შეღავათი მიეცეს გადასახადების გაღებაში, ეს საკითხი დაისვას მას შემდეგ, როცა ფინანსთა სამინისტრო საგანგებო გამოკვლევას მიიღებს გადასახადთა ინსპექციისგან. საერთოთ გადასახადების აკრების დროს საჭიროა ძველი წესებით ხელმძღვანელობა; გადასახადთა ინსპექტორები და ადმინისტრაცია ჯერ ადგილობრივ უნდა გაეცნოს სოფლის მდგომა-

რეობას და შემდეგ გადაწყდება, თუ რომელ სოფელს ან საზოგადოებას რა შეღავათი უნდა მიეცეს. ფინანსთა სამინისტრომ განკარგულება გასცა, რომ გადასახადთა ინსპექციამ ადგილობრივ გამოარკვიოს ეს საკითხი.

საგარეო საქმეთა სამინისტროში.

უკრაინის ქვეშევრდომთა ახალი პასპორტები.

უკრაინის გენერალურმა საკონსულომ გააუქმა უკრაინის მოქალაქეობის დროებითი მოწმობები. ეხლა უკრაინის ყველა მოქალაქეს ეძლევა ახალი ნიმუშის მუდმივი მოწმობა უკრაინის, ტფილისის, ბათუმის, ფოთის, ბაქოს ან ერევნის (მისი მუდმივი ბინადრობის მიხედვით) საკონსულოებიდან. საგარეო საქმეთა სამინისტრომ განკარგულება გასცა, რომ უკრაინის მოქალაქეთა უფლებებით და უპირატესობებით სარგებლობენ უკრაინის მხოლოდ ის მოქალაქენი, რომელთაც უცხოეთის პასპორტები ზემოხსენებულ საკონსულოებში შემოწმებული ექნებათ.

დამფუძნებელი კრება.

26 სექტემბრის სხდომა.

თავმჯდომარეობს **ალ. ლომთათიძე.**

ივ. გომართელის მოხსენებით მიღებულ იქნა საბოლოო ტექსტი დეკრეტისა რკინის გზის გენერალ-გუბერნატორის განკარგულებაში საჭირო თანხის გადადების შესახებ.

გრ. ურატაძის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი ყოფილ კადეტთა კორპუსის შენობის შესაკეთებლათ დამატებით 700 ათასი მანეთის გადადების შესახებ.

შენობის გადაკეთებას სულ უნდა მოხმარდეს ერთი მილიონ 200 ათასი მანეთი.

ეროვნულ-დემოკრატიულ ფრაქციის შეკითხვა ქ. ხონის წარმომადგენელთა დაპატიმრების შესახებ გ. გვაზავას განცხადებით დღიურ წესრიგიდან მოიხსნა და შემდეგი სხდომისათვის გადაიდო.

დასასრულ გინხილულ იქნა ეროვნულ დემოკრატიული ფრაქციის მთავრობისადმი შეკითხვა მოქალაქე ნიკ. ჩარკვიანის დაპატიმრების შესახებ.

შეკითხვას ასაბუთებს **იოსებ მაჭავარიანი**, რომელიც აღნიშნავს ჩარკვიანის დაპატიმრების ისტორიას და ამბობს: ნიკ. ჩარკვიანი გვარდიელების მიერ დაპატიმრებულ იქნა 2 აპრილს საღამოს 6 ს. მას წარუდგინეს რამოდენიმე ბრალდება. ყველა ბრალდებები იმდენათ უსაფუძვლო აღმოჩნდა, რომ გამოძიების წარმოებაც საჭიროთ ვერ დაინახა ბრალმდებელმა. მიუხედავათ ამისა ჩარკვიანი დღემდე არ გაუნთავისუფლებიათ. ახლა მე მინდა, რომ შინაგან საქმეთა მინისტრმა აუხსნას დამფუძნებელ კრებას თუ რათ მოხდა ეს ასე.

პ. ქიქინაძე (შინაგან საქმეთა მინის. ამხ.) აცხადებს, რომ ის შემკითხველს შემდეგ გასცემს პასუხს. განცხადება მიღებულ იქნა. სხდომა დაიხურა 1 ს. 35 წუთ. შემდეგი სხდომა იქნება სამშაბათს, 30 სექტემბერს.

მდგომარეობა უკრაინაში

უკრაინაში წარმომადგენლათ მყოფ ბ-ნ ვიქტორ თევზაიას მოხსენებიდან.

ამ დღეებში ტფილისში ჩამოვიდა საქართველოს წარმომადგენლათ მყოფი ვ. თევზაია, რომელმაც უკრაინის მდგომარეობის შესახებ მოხსენება გააკეთა დამფ. კრების სოც.-დემოკ. ფრაქციაში. მოგვყავს ზოგიერთი ადგილები მოხსენებიდან:

ეს ერთი წელიწადია, რაც უკრაინაში ვარ. ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ გადავიტანე. მოხდა ოთხი პოლიტიკური რევოლიუცია; დაიწყო გეტმანის მთავრობით და დასრულდა ნაწილად მოხალისეთა ბატონობით.

გეტმანის მთავრობა არ იყო წარმოშობილი მარტო გერმანელების ჯარების მიერ. გეტმანის მთავრობის შექმნას ხელი შეუწყო უკრაინის გლეხობის ნაწილმა. ეს შემდეგი გარემოებით აიხსნება: უკრაინაში, როგორც იცით, მართვა-გამგეობა ხელში ჰქონდა რადას, რომელშიაც უმრავლესობა სოც. რევოლიუციონერების ხელში იყო. რადამ მიიღო მიწის სოციალიზაცია და მის ცხოვრებაში გატარებას შეუდგა. უკრაინაში დაახლოვებით ისეთი წვრილი მიწათ-მფლობელობაა, როგორც ჩვენში. ამან ცუდი შედეგები მოუტანა რადას. გლეხებში უკმაყოფილება დაიწყო.

გეტმანი სკოროპადსკი მიტინგზე იქნა არჩეული. ამ მთავრობას მხარს უჭერდენ: მსხვილი მემამულეები მსხვილიბურჟუზია და სამღვდელოება და აგრეთვე გლეხების ნაწილი ეგრეთ-წოდებული „კულაკები“. ყველა ესენი იყვნენ რუსეთის ორიენტაციის. ყველანი რუსეთისაკენ იცქირებოდენ, მაგრამ გარემოების მიხედვით დამოუკიდებლობას იცავდენ. მათ ძილს უფრთხობდა საბჭოთა (ლენინის) მთავრობა, თორემ მეორე დღესვე რუსეთთან შეერთებაზე დაიწყებდენ ლაპარაკს.

ეს მთავრობა, რომლის თავმჯდომარეთ იყო ლიზოგუბი (რუსოფილი) წმინდა კონტრ რევოლიუციონური იყო. მათ გარეკეს ყველა დემოკრატიული ორგანიზაციები, გაანადგურეს თვითმართველობანი და სხვ. დამოკიდებულება ამ კონტრ-რევოლიუციონური მთავრობის ჩვენთან მეგობრული არ იყო არსებითად. ისე კი თითქოს გარეგნული მეგობრობა იყო. ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ გერმანელები იყვნენ იქა და ჩვენშიაც. მათ კი გეტმანის მთავრობაზე დიდი გავლენა ჰქონდათ. ეს არა მეგობრული განწყობილება ჩვენთან მაშინ იჩენდა თავს, როცა ჩვენ პურის მიცემის საკითხს დავსვამდით.

გეტმანის მთავრობა უმთავრესად ეყრდნობოდა 300 ათასიან გერმანელ ჯარს.

ყველასათვის აშკარა იყო, რომ თუ გერმანიის შინაური მდგომარეობა ოდნავ შეირყეოდა და ის დამარცხების გზაზე დადგებოდა, უკრაინაში გეტმანის მთავრობაც დაეცემოდა. შიგ უკრაინაში იყო პარტიზანული რაზმები, რომელნიც რამდენიმეთ ებრძოდენ გეტმანის მთავრობას და გერმანელებს. ეს რაზები გახდნენ მუდმივი ანარქიის და იმავე დროს რევოლიუციის შემქნელად. მათი პარტიზანული რაზმები იბრძოდა ესერების და კომუნისტების ხელმძღვანელობით. საერთოდ პარტიზანულ რაზმებს ერთი ცუდი თვისება ყოველთვის აქვთ. პირველი, ისინი ვერ ეგუებაინ ვერც სამხედრო და ვერც მოქალაქობრივ დისციპლინას, ცხოვრობს არა სახელმწიფოს ხარჯზედ, არამედ ნადავლით. მათში იმალება ანარქიული სულის კვეთება და მტაცებლობითი ინსტიქტი. ასეთი ტიპის რაზმი იყო ცნობილი გრიგორიევის ამალა, რომელიც ოთხჯერ მიემხრო სხვა და სხვა მთავრობას.

როდესაც გერმანიაში რევოლიუცია დაიწყო, გეტმანის მთავრობის ფუძეც შეინგრა შესდგა ნაციონალური საბჭო ყველა უკრაინული პარტიებიდან. თავმჯდომმრედ იყო სოც. დემ. ვინიჩენკო.

როდესაც გეტმანმა გამოსცა აქტი რუსეთთან უკრაინის ფედერატიულად შეერთების, იმავე საღამოს ნაციონალურმა საბჭომ შეადგინა დირექტორია და მოუწოდა ხალხს ბრძოლისკენ. შესდგა პარტიზანული რაზმები და რამოდენიმე ბატალიონიც (გეტმანის) გადავიდა დირექტორიის მხარეზედ. შეადგინა რაზმები, ამ რაზმებში შედიოდენ მენშევიკები, ბოლშევიკები, სოც.-რევოლიუციონერები და სხვ. როდესაც პეტლიურას რაზმები ებრძოდენ გეტმანის მთავრობას, გერმანიის პოზიცია მეტად ორჭოფული იყო. უნდა ითქვას; რომ გერმანიის მთავრობა ამზადებდა რუსეთის რესტავრაციასათვის ნიადაგს, ისინი (გერმ.) ამაგრებდენ დონში კრასნოვს, უკრაინაში გეტმან სკოროპადსკის, პსკოვში შექმნა პოლკები გრაფიკელების მეთაურობით. ყველა ამ ძალების საშუალებით უნდოდა ბოლშევიზმის წინაღმდეგ გალაშქრება. როცა გერმანიაში რევოლიუცია მოხდა, უკრაინაში მყოფი გერმანელების მეთაურები მოწყდნენ გერმანიას და არ იცოდენ თუ ვის უნდა მიმხრობოდენ: გეტმანს, პეტლიურას თუ სხვას. მათ დაიცვეს ნეიტრალიტეტი. ეს ნეიტრალიტეტი აიხსნება იმით რომ გერმანელთ ჯარისკაცების ცენტრალური საბჭო (კიევში) ნეიტრალიტეტს იცავდა. გერმანელების ასეთმა ყოფამ ხელი შეუშალა პეტლიურას გეტმანის მთავრობის ჩამოგდებაში. ამიტომ პეტლიურამ დახმარებისათვის მიმართა რუსეთის ესერებს დაბოლშევიკებს. ბოლოს, როგორც იყო ის შევიდა კიევში. მაგრამ იქ მას ზეიმით არ შეხვდნენ. პეტლიურას წინაღმდეგ იყვნენ მთელი დიდი ქალაქები. წინაღმდეგი იყო ბურჟუაზია, ქალაქის მუშებიც, რომელნიც იცავდენ რუსეთის ორიენტაციას და ინტელიგენცია; მხარს უჭერდენ მხოლოდ გლეხების ნაწილი და სოფლის ინტელიგენცია მას კიევში შემოსვლის დროს უნდა დახვედროდენ. ყველა უცხო ქვეყნების წარმომადგენელნი სადგურზე დახვდენ, მაგრამ შეხვედრა ცივი იყო. ყველა პროფესიონალური ორგანიზაციები და მუშები პეტლიურას წინაღმდეგ წავიდენ. ამის მიზეზი იყო შემდეგი: პეტლიურას ჯარებში 100 ათასი კაცი იყო გალიციელი, რომლებმაც მოახდინეს მუშათა ორგანიზაციების დარბევა. ინტელიგენცია პეტლიურას მაშინათვე ჩამოშორდა, რადგანაც მეორე დღესვე მოახდინა ნაციონალიზაცია, შემოიღო უკრაინული ენა და აუარებელი ხალხი უსაქმოდ დასტოვა. ქუჩებზე და მაღაზიებზე წარწერები უცბათ გამოაცვლევინა და სხ. ქალაქის თვითმართველობამ როცა თავი აიშვა მაშინათვე სთქვა თავისი სიტყვა. ეს სიტყვა იყო რუსეთთან გაერთიანება ფედერაციის საშუალებით. ამან გამოიწვია მღელვარება. პეტლიურამ, როდესაც დაინახა, რომ მუშები ღელავენ, თვითმართველობა რუსეთთან მოითხოვს ფედერაციის სახით კავშირის გაბმას, მოიწვია თათბირი ზომების გამოსამუშავებლათ. ვინიჩენკომ ჩვენც დაგვისვა კითხვა თუ როგორ არის თქვენში მმართველობა მოწყობილი და ვის ეყრდნობა თქვენი მთავრობაო. ჩვენ უთხარით, რომ თქვენს და ჩვენს შორის დიდი განსხვავებაა. ჩვენში მუშები მხარს უჭერენ მთავრობას, მთავრობა ეყრდნობა მუშების წიაღიდან გამოსულ სახალხო გვარდიას, თქვენ კი მუშები ჩამოგშორდენ და სხ. როდესაც უფრო ფართედ დაისვა ეს საკითხი, მაშინ უკრაინის მთავრობაში ორმა მიმდინარეობამ იჩინა თავი: ერთნი მოითხოვდენ ოღონდ უკრაინა დამოუკიდებლათ იყოს და საბჭოების სისტემა შემოვიღოთო. მეორენი მოკავშირეებისაგან გამოელოდენ ხსნას. ამ რიგათ გაიგზავნა ორი დელეგატი ერთ და იმავე დროს (რასაკვირველია საიდუმლოდ). ერთი მოსკოვში, მეორე მოკავშირეებთან. ორივე დელეგაცია ცუდათ მიიღეს და აქედან არაფერი გამოვიდა. მდგომარეობა თანდათან რთულდებოდა. უკმაყოფილება ხალხში ყოველ დღე იზრდებობა და ბოლოს გადაწყვიტეს შეედგინათ პარლამენტი. პარლამენტის არჩევნებს საფუძვლათ დაუდვეს „შრომის საარჩევნო უფლება“. ბურჟუაზიას არ მისცეს უფლება ხმის მიცემისა. აარჩევინეს ხალხს დეპუტატები. არჩეულ იქნენ ბალშევიკებიც. ეს კონგრესი გაიხსნა 19 იანვარს კიევში. მოწვეულ იქნენ ყველა უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენელნი, მაგრამ გარდა საქართველოს მისიისა არავინ არ დაესწრო. პეტლიურას ოპოზიციაში ჩაუდგენ ბუნდოელები და ზურაბოვის ტიპის სოციალ-დემოკრატები, რომლებმაც მოითხოვეს რუსეთის ფედერაცია, მაგრამ დიდი ხმის უმრავლესობით მიიღეს დამოუკიდებლობის აქტი. მიიღეს აგრეთვე ერთი მნიშვნელოვანი და კარგი აქტიც: უკრაინის და გალიციის გაერთიანება. მდგომარეობა თანდათან რთულდებოდა, მწვავდებოდა. პეტლიურას დახმარებას არავინ არ უწევდა. ბურჟუაზია გაიძახოდა: ჩვენ ბალშევიკები გვირჩევნიაო. ბალშევიკებმა თანდათან მოიმაგრეს ფეხი. მათ აიღეს სხვა და სხვა ქალაქები და ბოლოს სულ უმნიშვნელო ძალებით აიღეს კიევი. პეტლიურამ კიევში ბალშევიკებს ბრძოლა არ მისცა. ის ამბობდა: „დეე ხალხმა გამოსცადოს ბალშევიკები და შემდეგ ჩვენთვის უკეთესი პირობები დადგებაო“. ამავე დროს მოსკოვში მოლაპარაკება იყო ბალშევიკებთან. ლენინი მომხრე იყო შერიგების, ხოლო ზინოვიევი წინააღმდეგი, უკანასკნელმა გაიმარჯვა. ეს იმით აიხსნება, რომ საბჭოთა რუსეთში დიდი ნაკლებობა იყო პურის, ამიტომ დაადგინეს რათაც არ უნდა დაჯდომოდათ, მაინც აეღოთ უკრაინა. ბალშევიკების შესვლის დროს კიევში აუარებელი ხალხი გამოვიდა ქუჩებში. დიდის აღფრთოვანებით გამოვიდენ „სოვბურები“ (**совѣтскій буржуа**).

ბალშევიკებმა მაშინათვე აღადგინეს რუსული ენა. ამავე დროს ბალშევიკებმა [illegible] ბუნდოელების, უმრავლესობა რაც სხვათა შორის იმითაც აიხსნება, რომ პეტლიურას ჯარები, ახდენდენ ებრაელების დარბევას. ბალშევიკები კიევში შემოვიდენ 8 თებერვალს. პირველ ხანებში კარგათ ეჭირათ თავი. ძლეტა არ მოუხდენიათ. სიწყნარე იყო. მაშინ გაჩნდა ატამანი ზელიონი, რომელმაც შეადგინა რაზმები პეტლიურას დახმარებით და კიევის გუბერნიაში დაიწყო ბრძოლა ბალშევიკების წინააღმდეგ.

ატამანი ზელიონის რაზმები ახლაც იბრძვის მოხალისეთა წინააღმდეგ.

უკრაინის გლეხებს რუსეთიდან შეესიენ რკინის გზელები, მუშები და სხვა და სხვა მოსამსახურენი. პურის წაღება დაიწყეს. ბალშევიკებმა მოახდინეს აგრეთვე პურის რეკვიზიცია.

ამ გარემოებამ უკრაინის გლეხობაში დიდი უკმაყოფილება დაბადა ბალშევიკებისადმი. არეულობა დაიწყო ალაგ ალაგ. არეულობა იზრდებოდა და სამი თვის შემდეგ ზოგიერთი მაზრების აჯანყებით დაგვირგვინდა. აჯანყებულ მაზრებში უპირველესად ყოვლისა კომუნისტების ძლეტა მოახდინეს. შემდეგ ურიების დარბევა. გაიმართა ეგრეთ წოდებული „ბრძოლა პურისათვის“. პური ძლიერ გაძვირდა. გლეხებმა არ შეუშვეს ქალაქში პური. გირვანქა შავი პური 125 მანეთამდე ავიდა როგორც კიევში, ისე ოდესაში. ახლა ბურჟუაზიამ და მუშებმაც სთქვეს არ გვინდა ბალშევიკებიო.

ოდესაში მენშევიკების მეთაურობით დაიწყო გამოსვლები. პირველად მუშებმა მოითხოვეს ჯამაგირის მომატება. ეძლეოდათ 2.500 მან. პურის ყიდვას ვერ ახერხებდენ და უფრო საზამთროთი იკვებებოდენ. ამ გარემოების ზეგავლენით შეერთდნენ მენშევიკები, ანარქისტები და სოც.-რევოლიუციომერები და მოითხოვეს თავისუფალი ვაჭრობა. ბალშევიკებმა გამოაცხადეს თავისუფალი ვაჭრობა. მაგრამ მიზანი მაინც მიუღწეველი დარჩა. გლეხებმა ოდესას ალყა შემოარტყეს და პური არ შემოუშვეს, კიევშიაც არ უშვებდენ პურს.

ბალშევიკების დაცემის დროს მე ოდესაში ვიყავი. კომუნისტებს ყავდათ მეტად არა საიმედო რაზმი კავკასიელების.

მათგან შედგა რაზმი (ოცდა ათი კაცისაგან შემდგარი) და გადაუდგა ბალშევიკებს. ამ ავანტიურისტებმა აიღეს ქალაქი. მეორე დღეს შემოვიდა მოხალისეთა რაზმი.

ჩვენ პეტლიურასთან კარგი დამოკიდებულება გვქონდა. ხელშეკრულებაც კარგი იყო, მაგრამ საერთო პოლიტიკური პირობების მეოხებით ხელშეკრულება ვერ გავანაღდეთ.

არ შეიძლება გაკვრით ირ ალვნიშნო ატამან გრიგორიევის და მახნოს მოქმედება. მახნო ეს ტიპიური ანარქისტია. გრიგორიევი კი ავანტიურის ომის მოყვარულია. მას სწყურია ომი და სულერთია თუ ვისთან და ვის წინააღდეგ იბრძოლებს, ოღონდ კი იბრძოლოს. გრიგორიევი ხან ერთი ძალის მხარეზეა, ხან მეორისა. ამ ჟამად მას ჰყავს რაზმი და იბრძვის მოხალისეთა წინაღდეგ.

ჩვენი დამოკიდებულება ბალშევიკებთან ლოიალური იყო. ეს აიხსნება შემდეგი მდგომარეობით. პირველი: ვლადიკავკავიდან გამოქცეული ბალშევიკების მიღებამ საქართველოს მთავრობის მიერ უკრაინის ბალშევიკებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა: მაშინ ისინი სწერდენ და ლაპარაკობდენ: „რევოლიუციონური საქართველო კონტრ რევოლიუციონურ დენიკინის წინააღმდეგი არისო“. მეორე—უკრაინა არ არის მოსკოვი. უკრაინაში არეულია ბუნდი, სოც. რევოლ. და უკრაინელები, მათ შორის დამოკიდებულება კარგი იყო და ჩვენც კარგათ გვეპყრობოდენ. მესამე—ბალშევიკებმა შექმნეს ისეთი თეორია, რომლის მიხედვით კავშირი უნდა დაეჭირათ „სერედნიაკებთან“. ვინ იყო სერედნიაკები? ყაზახები, ესტონელები და ქართველები და სხ...

ამ თეორიას ცხოვრებაში ატარებდა მთავრობის თავმჯდომარე რაკოვსკი. მან იცოდა, რომ საქართველოში იყო დემოკრატიული წყობილება და ამიტომ მათი თეორიის მიხედვით საჭირო იყო აგრეთვე ჩვენთანაც კავშირი თუ არა, კარგი განწყობილება მაინც. შემდეგ კიდევ ერთი

პირობა უწყობდა ხელს ბოლშევიკების ჩვენდამი კეთილ განწყობილებას: კავკასიის საქმეები ებარა ყოფილ მენშევიკს მაიზელს. მაიზელი დიდი პატივის მცემელი იყო ქართველებისა.

ბოლშევიკების შემოსვლისას ოდესაში მოხდა ყველა კონსულების კრება, უშვერიძე არჩეულ იქნა თავმჯდომარეთ. ის წარმოადგენდა 4 სახელმწიფოს. სხვათაშორის ინგლისს და საფრანგეთსაც. როდესაც იქიდან ინგლისელების და ფრანგების ჯარები წავიდნენ, მათი ქვეშევრდომების უფლებების დაცვა მიანდვეს უშვერიძეს და გადასცეს ბეჭედი და ყოველგვარი მასალა, რაც საჭირო იყო. საქართველოს ელჩი იცავდა ყველა უცხოელების ინტერესებს და კიდევაც გაუდიოდა.

როდესაც დაატუსაღეს პროფესორები, მე ვიშუამდგომლე და გავანთავისუფლებინე. ლევაშოვი კი დახვრიტეს. მასზე მე შუამდგომლობა არ აღმიძრავს. ყველაფერში გვეხმარებოდა მაიზელი. პროფესორებმა დიდი მადლობა გამოუცხადა ქართველებს. ამ პროფესორებმა, როცა გაიგეს, რომ დენიკინელებმა ჩვენი საელჩო გააუქმეს, დენიკინელებს პროტესტი განუცხადეს.

ჩვენ ოდესაში გავხსენით უცხოელებისათვის სასადილო. იქ ვასადილებდით ყველა უცხოელებს და ჩვენს მოქალაქეებს. გლეხები ჩვენ პურს გვითმობდა 300 მან. ფუთს, მაშინ, როცა გირვანქა პური 120 მ. იყო.

უკანასკნელ ხანებში უშვერიძემ მიიღო წერილი, რომ იმ მდგომარეობის გამო, რომელიც შეიქმნა დენიკინის სარდლობასა და საქართველოს მთავრობის შორის, არ ეცნოთ შესაძლებლათ საქართველოს კონსული ჰყავდეს ოდესაშიო.

უკრაინის მდგომარეობა დღეს ასე გვეხატება. დენიკინელებთან ფრანგები ძლიერ ცუდად არიან განწყობილნი.

ამ ჟამად უკრაინაში მაგარი ნაციონალისტური მოძრაობაა. ეს მენშევიკების მოქმედების ნაყოფათ უნდა ჩაითვალოს. უკრაინაში დიდი მოძრაობაა მოხალისეთა წინააღმდეგ.

დენიკინი უკრაინაში ვერ იხეირებს, მას აუარებელი მოწინააღმდეგეთა რაზმები გაუჩნდება უკრაინაში: მახნო და გრიგორიევი ახლაც მოქმედობენ მოხალისეთა წინააღმდეგ. ჩემის აზრით უკრაინაში დენიკინი დაიღუპება.

მომხსენებელმა შეკითხვებზე შემდეგი უპასუხა:

პეტლიურას მოძრაობა მიმართულია, როგორც დენიკინის, ისე ლენინის წინააღმდეგაც.

უკრაინული მოძრაობა ეყრდნობა გლეხებს და დაბალ ინტელიგენციას. ქალაქებმა უკრაინაში ყოველგვარი მნიშვნელობა დაჰკარგეს. ის ინერციულია.

უკრაინაში ბოლშევიკები დაამარცხა არა დენიკინმა, არამედ უკრაინელებმა. მოხალისეთა მდგომარეობა რუსეთის ფრონტზე გვარიანია, შიგნით კი ძალიან ცუდია. ზოგიერთ ალაგას აჯანყებები და ბოლშევიკური მოძრაობა იწყება. მაგ. ნოვოროსიაში დიდი ბოლშევიკური მოძრაობაა.

წარმოება მთელს უკრაინაში განადგურებულია, ელექტრონი არ მუშაობს, ტრამვაია ძალიან ცუდათ მოძრაობს.

რკინის გზებზე მიმოსვლა გაძნელებულია: კიევიდან ოდესამდე 10—20 დღე უნდება მგზავრი.

მექრთამეობა წარმოუდგენელია.

საქართველოს კურორტები

აბასთუმანი.

II

მეორე წერილში ჩვენ გვინდა მოკლეთ შევეხოთ აბასთუმანის ისტორიას.

აბასთუმანის ისტორია მესხეთ-ჯავახეთის ისტორიასთან არის გადაჯაჭული. აბასთუმანის ისტორია მესხეთ-ჯავახეთის ისტორიით ხასიათდება.

აბასთუმანის ტრაღიკული ხვედრი მესხეთ-ჯავახეთის ისტორიულ ტრაღიზმის შედეგიდან გამომდინარეობს.

აბასთუმანი, როგორც ამ უკანასკნელ ხანებში, ისე ძველათაც საშუალო საუკუნეშიაც აღმოსავლეთ-სამხრეთის ძლიერთა სატრფიალო საგანი იყო. აბასთუმანი მუდმივ არა ჩვეულებრივი სტუმრების მოწამე იყო.

აბასთუმანის შესახებ ისე მეტს ცნობებს იპოვნით უცხოეთის ლიტერატურაში.

თვით ჩვენს ხალხში და ჩვენს ისტორიულ-არქეოლოგიურ გამოკვლევებში დაწვრილებით არც კი არის აღნიშნულ გარკვეული ჩვენი ისტორიული კუთხეები და ამიტომაც თანამედროვე თაობას ნაკლები წარმოდგენა აქვს ჩვენ სიძველეთა ნაშთებზე, ჩვენს ისტორიაზე.

თითქმის საქართველოს უძველეს მოვლენებზე ნათელი ფაქტებით ახსნილ ანალიზებს ვერ შეხვდებით და მკითხველი ბუნდოვანებით მოცული რჩება.

ეს გარემოება სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ ყველა ის მასალები, რომლებიც გაბნეულა ძველს და ახალს ლიტერატურაში, არ დამუშავდეს, არ ჩამოყალიბდეს და გარკვეული ისტორია არ შედგეს.

ჩვენ ვფიქრობთ ახლო მომავალში ეს ასრულდება, ახლო მომავალი ამ მხრით საქართველოს მომავალ თაობისათვის მდიდარი იქნება.

აბასთუმანი მესხეთის ნაწილი იყო. მესხეთი ზემო ქართლისა, მესხეთი კი მუდმივ განსაცდელში იყო, როგორც მოსაზღვრე მხარე და მას ხან სპარსელები არბევდა, ხან მონგოლები, ხან ოსმალები ანადგურებდა. მესხეთი მუდმივ არტაანის შემდეგ თავისი ბუნებრივი სიმაგრეებით, სტრატეგიული ადგილებით სდარაჯობდა საქართველოს, ქართლს და შემოსეული მტრებიც ისწრაფოდენ საქართველოს მეორე გასავლელი კარები ხელში ჩაეგდოთ და ცნობილია ისტორიაში მესხეთი ხშირათ ერთი მეორეს ხელში გადადიოდა.

პროფ. ი. კოვალევსკის ცნობით მესხეთს ალექსანდრე მაკედონელიც ეწვია და მისი მხედრები აბასთუმანის ცხელი წყლებით სარგებლობდენ, იკურნებოდენ და თვით იმ დროს აწერენ აბასთუმნის მინერალური წყლის მთავარ ბასეინის „გოლიათის წყაროს“ სახელწოდებას (богатырскій источникъ), რომ იქ გმირები, მხედრები ბანაობდენ.

ისტორიაში ვერსად ვერ შეხვდები და არ არის ნაჩვენები, ის, რომ აბასთუმანი იყო თუ არა მცხოვრებლებით დასახლებული. ლაპარაკია ყველგან მის სამკურნალო წყლების შესახებ, მის განაპირა მხარეებში ისტორიულ მონასტრებზე, ციხეებზე, რომ აბასთუმანი ისტორიული ადგილია დაბრძოლის ქარცეცხლში გავლილი, ამას ამტკიცებს აბასთუმანის შესასვლელთან თამარ მეფის ციხე სიმაგრე და ის ხვრელები, რომლებიც ციხიდან შორეულ ბერსადის მთისაკენ მიდის და გადის არტაან-არტანუჯისაკენ.

ხალხში აბასთუმნის შესახებ ბევრი სახელწოდებებია დარჩენილი, ოცხე, ორპირი, შავი ხევი, თფილი წყარო, მაგრამ უმთავრესათ ოცხე არის ცნობილი და ეს სიტყვა ეკუთვნის იმ ხანს, როცა აბასთუმანი ქართლის განუყრელ ნაწილს შეადგენდა *).

აბასთუმანის პირველი საუკუნეების ცხოვრება ქართლის ცხოვრებასთან არის დაკავშირებული. მე-XIII-ე საუკუნეში მესხეთის მხარე აბასთუმანით ვიზანტიის იმპერატორებისაგან, რომლებმაც დიდი სომხეთიდან წაილო, განთავისუფლებული იქნა თამარ მეფისაგან და იგი კვლავ საქართველოს დაუბრუნდა, საქართველოს სამფლობელოში დარჩა. ეს იყო 1227 წელს. მაშინდელი დაიქის ძველი ციხე შეცვლილი იქნა ახალციხეთ და აქედან იწყება დიადი და ბრწყინვალე ისტორია მესხეთ-ჯავახეთის, არტაან-შავშეთისა, ხანა საქართველოს დიდებისა და მისი ძვირფასი ისტორიისა.

თანამედროვე სამუსლიმანო საქართველოში, როცა მოგზაურობ საქართველოს დიდებული, ძველი ისტორიული ხანა თამარ-მეფისა და საქართველოს ძლიერების ცოცხლათ წინ გიდგება, რასაც ამტკიცებს ძველი ციხეები, მონასტრებ-ეკლესიები, ისტორიული ნაშთები.

1508 წელს აღნიშნული მხარეები საქართველოს მოსწყვიტეს და დაიპყრო ოსმალეთის სულთან მურად მე-III **) მურადის სიკვდილის შემდეგ მესხეთში ოსმალეთის ბატონობა გათავდა და მესხეთი დაიპყრეს სპარსელებმა.

1674 წელს სპარსელები დაამარცხეს ოსმალებმა და მთელ მხარეში ისევ გამეფდა ოსმალეთის სულთანის მურად მე-IV-ე საშინელი რეჟიმი.

1674 წლიდან საქართველოს დიდი ნაწილი მოწყვეტილი იყო თავის მშობლიურ მხარეს და რამოდენიმე საუკუნე იტანჯებოდა ოსმალთა ფაშების მონობაში.

აბასთუმანი კი ამ ხნის განმავლობაში წარმოადგენდა ფაშების, ბეგების, ხანების და სამხედრო მეომარ პირთა დასასვენებელ, საქეიფო და გარყვნილების ბუდეს.

საქართველოს ბრწყინვალე ხანა თან და თან შესუსტდა. ხანგრძლივ ომებში და ირგვლივ მტრებისაგან შემორტყმული საქართველო ფიზიკურად განადგურდა, შემცირდა მისი ტერიტორია, შემცირდა საქართველოს ძალები და ბოლოს 1759 წელს მეფე ერეკლე ძლიერი მტერის ალა-მახომედ-ხანის შემოსევის წინაშე განმარტოვებული დარჩა.

ამ ხანიდან იწყება საქართველოს საკუთარი ინიციატივის დაკარგვა, საქართველოს მხედრული შემოქმედების განელება და სრულიად სხვა გვარი ეპოქა.

მეფე ირაკლის დაწყებული საქმიანობა დაამთავრა გიორგი მე-XII-ემ და საბოლოოდ მოხდა საქართველოს თავისუფალი შეერთება რუსეთთან და 1828 წელს ახალციხის ბატონპატრონი ფაშები საბოლოოთ იქნენ დამარცხებულნი გრაფი პასკევიჩის მიერ და ახალციხე განთავისუფლდა ოსმალთა ბატონობისაგან. განთავისუფლდა, მაგრამ იქ დარჩა მხოლოდ საქრისტიანო საქართველოს ისტორიული ნაშთები და ხალხი კი გადაგვარებული, რომელსაც ხანგრძლივ დროთა სვლაში და ტანჯვა წამებაში დაჰკარგოდა ზნე, ჩვეულება, ადათი, რჯული-ენა...

თვით აბასთუმანში იმ დროს არავინ ცხოვრობდა, მხოლოდ მასზე დაშორებული სოფლები ოდესღაც ქართველები და ქართლის ნაწილები გამუსლიმანებულიყვნენ.

რუსეთის გაბატონების შემდეგ იწყება აბასთუმანის ახალი ისტორია. აბასთუმანის მშვენიერი ხეობა, მდიდარი ტყეები გამოცხადდა რუსეთის სახელმწიფო ქონებათ, იგი სამხედრო უწყებას დაუქვემდებარეს და რუსეთის სასახლის წარჩინებულთა საცხოვრებელ აგარაკათ იქცა.

უპირველესი ყურადღება აბასთუმანის მინერალურ წყლებს მიექცა.

1829 წელს აბასთუმანის წყლები ფაქტიურათ გადავიდა რუსეთის ხელში. მისი ხელმძღვანელობა დავალებული ჰქონდა მახლობელ სამხედრო ნაწილთა უფროსებს. მაშინ „გველების წყაროსთან“ იყო აშენებული ერთი საერთო საბანაო ჰაუზი აღმოსავლეთის გემოვნებაზე მოწყობილი, მხოლოდ გოლიათის წყაროსთან იყო ორი ძველი და უვარგისი ვანა.

ამ წყლებს ეტანებოდა გარეშე და ადგილობრივი ხალხი, შემოდგომაზე სოფლელები ჭირნახულის აღების შემდეგ იკრიფებოდენ, ბანაობდენ და იკურნებოდენ.

ამის შესახებ ასე სწერს აბასთუმნის სიძველეთა მცოდნე ექ. სკოროვი თავის შრომაში („Абастуманскіе и уравельскіе минеральные воды въ естевтвенномъ состояній“) *)

1830 წლიდან რუსეთის სამხედრო ექიმები ქიმიკოსები ეცნობიან თან და თან აბასთუმანის ჰავას, წყლებს. 1832 წელს პირველი ცდა მოახდინა გომბლატმა და მისით დიდი კმაყოფილი დარჩა. 1838 წელს წყლების პირველი ანალიზი გააკეთა ვილესმა და ამ წლიდან ეყრება საფუძველი მუშაობის დაწყებას და 1843 წელს ნაწილი სამხედრო საავათმყოფოს აშენებული იქნა განყოფილების სახით. მხოლოდ ორი გასაღებით—გველების და გოლიათის წყაროთი.

1846 წელს, ამათ მიემატა გოლიათის წყაროს ახალი ბასეინი „№ 2“.

1859 წელს ჰაუზების მაგიერათ აშენებული იქნა 7 ვანებიანი ოთახი და ბოლოს 1865 წელს ზაფხულში გაიხსნა სრულიად ყველა გასაღებები გოლიათის წყაროებისა. ამ ხნის განმავლობაში მინერალურ წყლების ირგვლივ განვითარდა ამ ჟამათ ძველი აბასთუმნათ წოდებული.

1852 წლიდან სწრაფი ყურადღება მიექცა და სამხედრო წრეებში მინერალური წყლებით სარგებლობამ რაციონალური ხასიათი მიიღო. უდაბურ ხეობაში თფილი წყლების ირგვლივ აშენდა ძველი და პატარა აბასთუმანი სამხედრო და კერძო შენობებით, ვანებით, მაგრამ 1854 წელს დიდი ომის დროს ახალციხის ბრძოლის შემდეგ აბასთუმანი მიწასთან განადგურებული აღმოჩნდა. შენობები დანგრეული, გაძარცული და მინერალური წყლების „რუდნიკები“ განადგურებული. სამხედრო ექიმი პრისელკოვი ამ ამბების შემდეგ სწერს: „მე ვნახე პატარა აბასთუმანი ბარბაროსულათ აკლებული, უკარებოთ, უფანჯროთ, უვანებოთ. რამოდენიმე წლობით შექმნილი აბასთუმანი გაპარტახებული, ყოველივე სიცოცხლეს მოკლებული *).

ომის შემდეგ აბასთუმანი კვლავ იწყებს მობრუნებას და 1865 წელს უკვე იყო რამოდენიმე სახაზინო და კერძო შენობები, მინერალური წყლების ვანები.

მთავარი ბრძოლა აბასთუმანის შესახებ იწყება მას შემდეგ, როცა სამეცნიერო წრეებში აბასთუმანი გაცნობილი იქნა და დიდი ნაწილი მოითხოვდა აბასთუმანის ხელმძღვანელობა გადასულიყო სამოქალაქო უწყების ხელში.

აღნიშნულ ხანაში აბასთუმანი კი გასართობი საგანი იყო ამ ქვეყნის ძლიერთა და ზაფხულობით იქ ატარებდენ თავადები, ვაჭრები, უცხოელები, წარჩინებული მხედრები და მათ თან მისდევდა იმ დროინდელი შულერები.

მოდიოდენ იმერეთიდან და ქართლ კახეთიდან, სომხეთიდან და რუსეთიდან, სპარსეთიდან და ოსმალეთიდან და მთელ ზაფხულობით იყო უზომო ქეიფი, გარყვნილობა და თამაში. პ. კ. კადკინი ასე აგვიწერს იმ ხანას **)

„აბასთუმანში გემოვნებისათვის თავს იყრიდენ სხვა და სხვა მხარეებიდან ფულიანები. მათ თან მოსდევდა სპეციალისტი შულერები. მთელ ღამოობით სასტუმროში იყო ქეიფი და აზარტული თამაში, ხშირათ ქეიფი ხანჯლების ტრიალით თავდებოდა“ და სხვა.

საზოგადოებრივ წრეებში თანდათან მომწიფდა აბასთუმანისათვის სერიოზული ყურადღების მიქცევის აზრი და ბოლოს სამხედრო უწყებიდან 1869 წელს აბასთუმანის მინერალური წყლები გადავიდა სამოქალაქო უწყების ხელში და საქმის სათავეში მოექცა სამხედრო წრეებში ცნობილი სამხედრო ექიმი ა. ა. რემერტი.

აქედან იწყება აბასთუმანის აღორძინება, აქედან იწყება მისი განახლება, ამ ხანას ეკუთვნის აბასთუმანის გაცნობა და ამ დროიდან იწყება რემერტის ისტორია.

ვინც თანამედროვე აბასთუმანს ნახავს, ვინც გაეცნობა მის ისტორიას, ლიტერატურას, უეჭველათ რემერტის ღვაწლსა და შრომას გაეცნობა და რემერტის პატივის ცემა მის გულში აღიბეჭდება:

რემერტი იყო კავკასიის ნამესტნიკის დიდი მთავრის მიხელ ნიკოლოზის ძის ექიმი; როდესაც მიხელ ნიკოლოზის ძეს გადასცეს ბორჯომის ხეობის ძვირფასი მამული, რემერტმა შექმნა ბორჯომის ის კულტურა, ბორჯომის ის სახეობა და ბორჯომის მინერალური წყლების და აგარაკების გამოხატულება, რომელსაც თანამედროვე ბორჯომი ჰქვია.

ბორჯომიდან გაეცნო იგი აბასთუმანის რთულ თვისებებს, მის ჰავას და კიდეც მისი ხელმძღვანელათ იქცა. სასახლის ლეიბ მედიკი რემერტი იშვიათი მუყაითი კაცი იყო და მცოდნე თავისი სპეციალობისა.

(შემდეგი იქნება).

ხალუქვაძე.

შრატის დამამზადებელ სადგურის შესახებ

მოხსენება საქ. დემ. რესპ. მთავრობისადმი მუხროვანის ჯარის სადგომში შრატის დამამზადებელ სადგურის მოთავსების შესახებ.

დასავლეთ საქართველოში უკანასკნელ დროს მეტათ გავრცელდა საქონლის ჭირი. სენი მოედო ოზურგეთის და სენაკის მაზრებს, სვანეთს და რაჭის მაზრაში ხომ პირდაპირ კატასტროფიული ხასიათი მიიღო. საქონელი იღუპება, ხალხი სტირის და შველას თხოუ-

---

*) სიტყვა აბასთუმანი წარმოსდგება სიტყვა ხაბაზთ-უბანიდან. მთელ ამ რაიონს კი ჰქვია ოძრხე.

**) ეს ცნობები ამოღებულია არ. პ. ი. კოვალევსკის წიგნიდან „Абастуманъ“-იდან, გამოცემა „Ар. пс. ней псих.“ ავტორი.

---

*) პ. ი. კოვალენსკი. იხ. „А-нъ“ გვერდ. 124-125.

---

*) პ. კოვალევსკი. გვერ. 128.

**) იხ. პ. კადკინის წიგ. „Абастуманъ, какъ климатическая станція, 1887 г.“.

ლობს. რაჭის მაზრის ერობის თავმჯდომარე ლიზბეანიძე ტელეგრამით 25 აგვისტოს თარილით იტყობინება: „რაჭაში ჭირმა კატასტროფიული ხასიათი მიიღო, მუშა საქონელი განადგურდა, უმწეო მდგომარეობა გვაიძულებს გთხოვოთ შრატის პირველი რიგი დაეთმოს რაჭის ერობას“. მაზრაში მომუშავე ვეტერინარი-ექიმები მასხარაშვილი და იაკუბოვიჩი იწერებიან: „არ არის ისეთი დღე, რომ სოფელში 40—50 სულამდე არ მოკვდეს, სოფელ სხარტალში 300 სული საქონლიდან დარჩა მხოლოდ 19 სული. ხალხი და ხოცილ საქონლის დამარხვას ვერ ასდის. სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი მცხოვრებნი მიეშურებიან ბათუმში და კონსტანტინოპოლში შრატის შესაძენათ და ერთ ლიტრა შრატში, საკმაოს ორი სულის ასაცრელად, იხდიან ორი ათას—ორი ათას ხუთას მანეთამდის“. მიუხედავათ იმისა, რომ ამ შრატის ღირებულობა საეჭვოა და საქონლისთვის სახიფათოა. მის შეძენას მხოლოდ შემთხვევითი ხასიათი აქვს, რადგანაც ამ ჟამათ საშრატე სადგური კონსტანტინეპოლში არ სწარმოებს.

თუ ასე დიდხანს გაგრძელდა, ჭირი სხვა მაზრებსაც მოედება, გადმოვა აღმოსავლეთ საქართველოში, ადვილად შეესევა მეზობელ რესპუბლიკებს და მაშინ მასთან ბრძოლა მეტად გაძნელდება და გართულდება.

ადვილი წარმოსადგენია, რა განსაცდელში ჩავარდება ჩვენი მეურნეობა, როდესაც მისი ძალა—საქონელი, რომელსაც მთელი თავის სიმძიმით აწევს კისერზედ მეურნეობა, დაილუპება.

ზარალი, რომელსაც აყენებს ჭირი მშრომელ ხალხს, მეტათ დიდია და გაძლიერებისას ხომ იგი აუწერელია. საქართველოს ტერიტორიაზედ ითვლება 2.000.000 სული მსხვილ ფეხა რქიანი საქონელი. საშუალოთ რომ ვიანგარიშოთ 5000 მანეთად სული—შეადგენს ათ მილიარდ მანეთის ღირებულებას. ჭირისაგან ბუნებრივად იღუპება აღმოსავლეთ საქართველოში 40—70 პროცენტამდე და დასავლეთ საქართველოში 80—90 პროცენტამდე, მაგრამ დახოცილი საქონლის რაოდენობა 20 პროცენტით რომ ვიანგარიშოთ, ისიც მეტად ზარალს შეადგენს. აღარ ვილებ მხედველობაში იმას, რომ მუშა საქონლის დაკარგვით მშრომელი გლეხი რამდენათ ქვეითდება ხანგრძლივ ეკონომიურად. აშკარაა, რა ულმობელ სენთანა გვაქვს საქმე და რა სწრაფი და ენერგიული ზომების მიღებაა საჭირო მის წინააღმდეგ.

ქუთაისში დაარსებული შრატის დამამზადებელი სადგური ვერ აკმაყოფილებდა დღევანდელ მოთხოვნილებას. ნახსენებ სადგურზე ბინის სივიწროვე და საქონლისათვის საძოვარ და სათიბ ადგილების არ ქონა გვაიძულებდა დაგვემზადებინა შრატი მხოლოდ ასი სული საქონლიდგან, რაც თვიურად შეადგენს შრატის რაოდენობას არა უმეტეს სამასი ლიტრისა და რითაც შეიძლება აიცრას თვეში 4.000 სულამდე. უკანასკნელ დროს ქუთაისის საშრატე სადგურზედ იფეთქა ციმბირის ჭირმა, რამაც იმსხვერპლა ერთდროულად 27 სული საქონელი. ამ გარემოებამ ხომ შეუძლებელი გახადა შრატის დამზადება და სადგურმაც შეაჩერა მუშაობა.

დღევანდელ მდგომარეობის მიხედვით სადგური უნდა ამზადებდეს თვიურად არა ნაკლებ 1.000 ლიტრა შრატს მაღალი ტიტრისა, რითაც აიცრება 15.000 სული საქონელი თვეში. მეტის დამზადება ხომ უფრო დაგვიახლოვებდა სენის საბოლოოდ მოსპობას.

ყველა ამ მიზეზების გამო, დაისვა საკითხი სადგურის გაფართოვებისა, რისთვისაც დამფუძნებელმა კრებამ გადასდო 1.500.000 მანეთი. რადგანაც ქუთაისში ამ საქმის გაგრძელება და მით უმეტეს გაფართოვება შეუძლებელი იყო, მთავრობამ გადიტანა სადგური დროებით ს. ციხის-ჯვარში გორის მაზრაში.

ახალ ადგილას სადგურის გაფართოვება მაინც ვერ მოხერხდა. ერთი რომ სადგური ციხის-ჯვარში მოთავსდა დროებით პირველ იანვრამდე 1920 წლისა, და მეორეც ის, რომ ბორჯომის მამულის ადმინისტრაციამ არ დაუთმო სადგურს საჭირო შენობები და სათიბი ადგილები; დამზადებულ შრატის რაოდენობა უფრო შემცირდა, ვიდრე მზადდებოდა ქუთაისში.

როდესაც აღიძრა საკითხი საშრატე სადგურის ქუთაისიდგან გადატანის შესახებ, მიწათ-მოქმედების მინისტრის ინიციატივით შესდგა კომისია, რომელსაც დაევალა მუხროვანის ჯარის კაცთა სადგომების და იმის გარშემო მდებარე სახელმწიფო მიწის ფონდის საძოვარ სათიბების დათვალიერება და აზრის წარმოდგენა, თუ რამდენით მოსახერხებელი და შესაძლებელია საშრატე სადგურის გადატანა აღნიშნულ შენობებში, სადაც შეიძლება სადგურის გაფართოვება და შესაფერ პირობებში მისი ამუშავება.

შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგის დავალებით ნახსენები ადგილი დაათვალიერა იმავე მიზნით მეორე კომისიამ საშრატე სადგურის გამგის მონაწილეობით.

ორივე კომისიის აზრით მუხროვანის მამული მდებარეობით, ჰავით, შენობებით და საძოვარ-სათიბებით საშრატე სადგურისთვის შესაფერია, მხოლოდ მცირე ნაწილი შენობებისა მოითხოვს კაპიტალურ რემონტს. დანარჩენი კი არსებული სახით მისაღებია.

მართალია საშრატე სადგურს სჭირდება ბევრი ცალკ-ცალკე შენობები, მაგრამ მუხროვანის შენობებში მაინც შეიძლება მისი მოთავსება.

ამ მამულში არის ცხრამეტი სხვა და სხვა სივრცის შენობა, რომელშიაც საშრატე სადგური მოეწყობა ამ სახით:

1. ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია ექვს ოთახიან ცალკე შენობებში.
2. საშრატე განყოფილება ოთხ ოთახიან შენობაში.
3. სისხლის გამოსაღები განყოფილება სამ—ოთხ ფართე ოთახებიან ცალკე შენობაში.
4. სისხლის მისაცემი განყოფილება სამ—ოთხ ფართე ოთახიან ცალკე შენობაში.
5. სასტერილიზაციო განყოფილება ოთხ—ოთახიან შენობაში.
6. ჭირიან საქონლისათვის განყოფილება, მთლად განცალკევებული ნაწილი სადგურისა თავის ბოსლით, თავის საწყობით და ამ განყოფილებაში მოსამსახურეთა ბინით.
7. ოთხი ან ხუთი ბოსელი სათადარიგო და საცდელ მსხვილ-ფეხა საქონლისათვის.
8. ცალკე განყოფილება წვრილ-ფეხა საცდელ სალაბორატორიო ცხოველთათვის (შინაური კურდღლები, ზღვის გოჭები, ვირთხები, მტრედები და სხვა).
9. სხვა და სხვა გადამდებ სენით, გარდა ჭირისა, დაავადებულ ცხოველთათვის (ციმბირის ჭირი, თურქული, პიროპლაზმოზი, პასტერელოზი, ცხენების ქოთაო და სხვა) ცალკე შენობა.
10. საჭურჭლე განყოფილება ბოთლების, ცილინდრების და ჭურჭლის დასარეცხად ოთხ ოთახიანი ცალკე შენობა.
11. ყუთების დასამზადებელი და საექსპედიციო ცალკე შენობა.
12. თავლა მუშა საქონლისათვის და ცხენებისათვის.
13. საეტლე.
14. საყინულე.
15. კანცელარიის და კანტორისათვის ოთხი ოთახი.
16. ჩარდახი 50—75.000 ფუთი თივის და კოპტონის მოსათავსებლად.
17. ბეღელი საკვებ მასალის შესანახად (ქერი, სიმინდი და სხვა).
18. საწყობი სადგურის მასალებისათვის (მედიკამენტები, სალაბორატორიო მასალები და სხვა).
19. გამგისათვის ბინა.
20. გამგის ორი თანაშემწისათვის ბინები.
21. ბინები ორი ფერშლისათვის.
22. ბინები კანცელარიაში და კანტორაში მომუშავეთათვის.
23. ბინები ორმოცდა-ათ მოსამსახურეებისათვის.
24. ბინა მოსამსახურეთა შკოლისათვის.
25. ბინა შკოლის მასწავლებლისათვის.
26. ბინა აბანოსათვის.
27. ბინა სადგურზედ მივლინებულ ექიმ და ფერშალთათვის, როგორც ჩვენი რესპუბლიკისა აგრეთვე მეზობელ რესპუბლიკებისა, შრატის დამზადების შესასწავლად.
28. ხორცის კანსერვების დამამზადებელ ქარხანისათვის ცალკე შესაფერი შენობა, რომელიც, დაამუშავებს თვეში არა ნაკლებ ხუთას ფუთ ხორცს. ეს ხორცი რჩება სადგურს მაღალ იმმუნოვანი საქონლიდგან მაქსიმალურად სისხლის გამოღების შემდეგ.
29. ტყავების დამამუშავებელი ქარხნისათვის (დაბახანა) ცალკე შენობა, სადაც დამუშავდება წლიურათ ათასზედ მეტი ცალი ტყავი.
30. ელექტრონის სადგურისათვის ბინა, თავის ელექტრო-მოტორით, რომელიც ამ ჟამად იმყოფება იქ.

როგორც ზევით მოვიხსენიე, სადგურს თვეში ათას ლიტრა შრატის დასამზადებლად უნდა ჰყავდეს მუდმივ ხუთასი სული მაღალ იმმუნოვანი საქონელი, გარდა რამდენიმე სული მუშა საქონლისა და ცხენებისა.

ამ საქონელს დასჭირდება ექვს-შვიდ თვის განმავლობაში საძოვარი ადგილი არა ნაკლებ სამასი დესეტინა, ორ სულზედ ერთი დესეტინის ანგარიშით. დანარჩენ ხუთ-ექვს თვის განმავლობაში საქონლის გამოსაკვებად სადგურს მოუნდება 60—75.000 ფუთი თივა, რისთვისაც საჭიროა 500 დესეტინამდე სათიბი ადგილი, დესეტინიდგან 60—100 ფუთი თივის ანგარიშით.

ამნაირად საშრატე სადგურისათვის საჭიროა მუხროვანის ჯარის კაცთა ყველა შენობები, საქონლის გამოსაკვებად სამას დესეტინამდე საძოვარი და ხუთასი დესეტინა თუ არა სამას დესეტინამდე მაინც სათიბი ადგილები.

მოვახსენებ რა ამას, ვთხოვ საქართველოს მთავრობას ეხლავე დაეთმოს შრატის დამამზადებელ სადგურს მუხროვანის ყველა შენობები ახლო მდებარე საჭირო საძოვარ სათიბებით. რადგანაც მუხროვანის შენობებს სჭირია შეკეთება შეხამება, აუცილებლივ სასურველია დაუყონებლათ განთავისუფლებული იქმნას იქაურობა ჯარის ნაწილებისაგან. ამასთანავე უნდა დაინიშნოს, როგორც მიმღები, აგრეთვე ჩამბარებელი, კომისიები ბინების, ინვენტარის და მიწების ჩასაბარებლად. თუ ადგილობრივ პირობების მიხედვით მოსახერხებელი იქნება, ეხლავე, ვადის გასვლამდე, ვიდრე ზამთარი არ დამდგარა, საშრატე სადგური გადავა მუხროვანში და შეკეთებასთან ერთად მხარ და მხარ გააგძელებს შრატის დამზადებას და შეუდგება სადგურის გაფართოვებას.

შინ. საქ. მინისტრის ამხანაგი ჭიჭინაძე.

ვეტერ. სანიტარ. გან. გამგის მაგიერ

დ. ახმეტელაშვილი.

მილიციაში

ბაქოს მაძებარ პოლიციის დეპეშის თანახმათ, სისხლ. სამართლის მილიციამ სასტუმრო „ნოე“-ში დააპატიმრა იზრაილ დუბროვსკი, რომელიც 22 სექტემბერს გაიგზავნა ბაქოში. მას აღმოაჩნდა საბუთი, რომლიდანაც ჩანს, რომ მას 20 სექტემბემბერს ქიმიურ ქარხნისთვის „ატომი“-სთვის ტფილისში მიუბარებია შესანახათ 900 ფუთი გოგირდის სიმჟავე.

—

სისხლ. სამ. მილიციამ დააპატიმრა ტფილისის ვაჭართა ბანკში მოსამსახურე იაკობ ფარსადანოვი, რომელსაც ბანკიდან მოუპარავს 6 თამასუქი—142900 მან. ფარსადანოვი მესამე უბნის გამომძიებელს გადაეცა.

—

22 სექტ. სისხლ. სამ. მილიციას განუცხადა მიხელ პუშჩევომ, რომ მას დაკეტილ მაღაზიიდან მოჰპარეს ნივთები (კაბები, პალტოები და სხვ. და სხვ.) ღირებული 100.000 მან. სისხლ. სამ. მილიციამ იმავე დღეს დააპატიმრა მეეზოვე მკრტიჩ ოგანიანცი და ეკზაპეტა გროიანცი, რომელთაც აღმოაჩნდათ შალი, რომელიც მოუპარავთ სახლის პატრონის ეკატერინე გალისთვის. დამნაშავენი საგამომძიებლო ნაწილს გადაეცნენ.

—

რაჭის მაზრის მილიციის უფროსის დეპეშის თანახმათ სისხლ. სამ. მილიციამ დააპატიმრა არსენ კემოკლიძე, რომელსაც ბრალი ედებოდა შეიარაღებულ თავდასხმაში. კემოკლიძე რაჭაში გაიგზავნა.

სხვა და სხვა.

◆ 24 (ძვ. სტ. 11) სექტემბერს კრწანისის ველის წლის თავზე ხსენებული ადგილი დაათვალიერეს მთავრობის, დამფუძნებელ კრების, ქალაქის და ერობის და აგრეთვე საზოგადოებრივ ორგანიზაციების წარმომადგენლებმა. მათ შორის იქვე დაიბადა აზრი კრწანისის ველზე მონუმენტის აშენების საქმის მოწყობის შესახებ.

◆ კვირას, 28 სექტემბერს, ნაშუადღევის სამ საათზე კავშირის შენობაში (მიხეილის პრ., № 139), შესდგება საერთო კრება. გაირჩევა ფრიად საჭირო საკითხები.

◆ ადერბეიჯანის დიპლომატიურ წარმომადგენლობის საქართველოში საინფორმაციო განყოფილება აცხადებს, რომ დღეს, 27 სექტემბერს ადერბეიჯანის დიპლომატიურ წარმომადგენელს საქართველოში, მოადგილე ფარის ბეკ ვექილოვი ბაქოში მიემგზავრება კავკასიაში ინგლისის უმაღლეს კომისარის ბ. ოლივერ უორდროპთან ერთად. დიპლომატიურ წარმომადგენლის აქ არყოფნის დროს მისიაში მიღება შეწყვეტილი იქნება. კანცელარია კი იმუშავებს.

◆ გზათა სამინისტროს დეპარტამენტის დირექტორი ვ. ჭიჭინაძე 29 სექტემბერს გელათიდან ტფილისში დაბრუნდა.

◆ მოსკოვის უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტების ჯგუფი 28 სექტემბერს ბათუმს გაემგზავრება, დაბრუნდება 29 ს.

◆ სოციალისტ-რევოლუციონერთა (რუსეთის) ამიერ-კავკასის კომიტეტმა შემდეგი მისალმება გაუგზავნა სახალხო გვარდიის მთავარ შტაბს: სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტიის ამიერ-კავკასიის კომიტეტმა დაადგინა სახალხო გვარდიის მთავარ შტაბს გაუგზავნოს მისალმება, მაგრამ, რადგანაც პარტიის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის წარმომადგენელს მისგან დამოუკიდებელ მიზეზების გამო არ შეეძლო პირადათ გადაეცა მისალმება, საოლქო კომიტეტი სთხოვს სახალხო გვარდიის მთავარ შტაბს მიიღოს ეს მისალმება და მწუხარებას გამოსთქვამს, რომ თავის დროზე, ყრილობაზე ვერ შესძლო მისალმების გადაცემა“.

◆ 26 სექტემბერს ბაქოში გაიგზავნა 50 ვაგონი სასურსათო საბჭოსთვის ფქვილისა და ნავთის ჩამოსატანათ.

◆ 25 სექტემბერს ნატანებში გაემგზავრა გზათა მინისტრი ხომერიკი.

◆ ცნობილმა ჟურნალისტმა თუმანოვმა მიიღო ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა სააქციო საზოგადოების საქმეთა გამგეობა.

წერილი რედ. მიმართ.

„საქართველოს რესპუბლიკა“-ს 19 სექტემბრის №-ში შემდეგი ცნობაა მოთავსებული: სისხლის სამართლის მილიციამ 11 სექტემბერს დააპატიმრა ვიღაც სულხანიშვილი, რომელსაც განუცხადებია, ვითომც ახალ გორის რაიონის კომისარს „სოხატ“ სარჯველაძეს ამხანაგობა ჰქონდეს იმ ნაქურდალ კამეჩებში, რომელიც მას დაუყიდია ქ. ტფილისში ყალბი მოწმობებით. ასეთმა ცნობამ კანონიერი აღშფოთება გამოიწვია, როგორც ჩემში, ისე ნაცნობ-მეგობრებში, ვინაიდან მე, შოთა სარჯველაძე ვმსახურებდი დუშეთის მაზრაში ქსნის რაიონის კომისრათ ა. წ. ივლისამდე (ახალ - გორიც ქსნის რაიონში შედის) და ასეთ სამარცხვინო ბოროტ მოქმედებაში კავშირი არასოდეს არ მქონია. მე მაშინვე გაზეთით ხელში გავეშურე სისხლის სამართლის მილიციის სამმართველოში საქმის გამოსარკვევათ. ამის შესახებ სასტიკი გამოძიება აწარმოვა სისხლის სამართლის მილიციამ, და გამოირკვა, რომ ბოროტ მომქმედ სულხანიშვილს განზრახ მოუნდომებია „სოხტას“ სახით ჩემზე ჩირქის მოცხება. საკვირველებაა, როდესაც ადამიანს ასეთ შეუფერებელ ცილს გწამებენ, მაგრამ უფრო საკვირველია, თუ რა მოსაზრებით დასჭირდა ვიღაც სულხანიშვილს ჩემი ხსენება, როდესაც ჩემი ცნობაც კი არა აქვს, ისიც კი არ ცოდნია, რომ უკვე სამი თვე არის, რაც სამსახურში არ ვითვლები.

შოთა სარჯველაძე.

სტამბა საქართველოს მთავრობისა.

დროებით რედაქტორი ვიქტორ ნოზაძე